ერთი შენობა და მისი ორი ფუნქცია

(გზამკვლევი)

რესურის ავტორი: თათია ბარბაქაძე

საფეხური: საბაზო

რესურსის მიზანი: რესურსის მიზანია მოსწავლეებში კრიტიკული აზროვნების განვითარება; კონკრეტული არქიტექტურული ძეგლის კონტექსტში აღქმა და გააზრება.

სავალდებულო თემატური ბლოკი: საზოგადოება და ხელოვნება

მეთოდი: რესურსში გამოყენებულია კონსტრუქტივისტული სწავლების, გონებრივი რუკისა და არგუმენტირებული მსჯელობის სასწავლო მეთოდები.

რესურსის მოსალოდნელი შედეგი: წინარე ცოდნის გააქტიურება, ლოგიკური აზროვნებისა და არგუმენტირებული მსჯელობის უნარების განვითარება; შენობის ფუნქციისა და დანიშნულების კონტექსტში აღქმა და გააზრება.

რესურსი მეტეხის სატუსაღოსა და შემდგომში მუზეუმის შესახებაა. გაკვეთილის მიზანია, წინარე ცოდნაზე დაფუძნებითა და არგუმენტირებული მსჯელობით, შენობის ფუნქციისა და დანიშნულების გააზრება. გაკვეთილი წარიმართება კონსტრუქტივისტული სწავლების, არგუმენტირებული მსჯელობისა და გონებრივი რუკის სასწავლო მეთოდების გამოყენებით. ეს კი ხელს უწყობს მოსწავლეებში წინარე ცოდნის გააქტიურებასა და კრიტიკული აზროვნების უნარის განვითარებას. რესურსის გამოყენების შემდეგ, მოსწავლეები შეძლებენ, გააცნობიერონ, რომ შენობის ფუნქცია კონკრეტული საჭიროებიდან გამომდინარე შეიძლება რადიკალურად შეიცვალოს.

დამატებითი ინფორმაცია მასწავლებლისთვის

მეტეხის ციხისა და შემდგომში მუზეუმის შესახებ

მეტეხის ტაძრისა და სასახლის შესახებ არაერთი ისტორიული ცნობა არსებობს. პლატონ იოსელიანი წიგნში, „აღწერა თბილისის სიძველეთა“, წერს, რომ მეტეხის სასახლე და ეკლესია დედაქალაქის მცხეთიდან თბილისში გადმოტანისას, აშენდა. სასახლე როსტომ მეფის დრომდე თავის ფუნქციას ასრულებდა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ როსტომ მეფე თბილისში თავის მიერ აშენებულ სამეფო რეზიდენციაში ცხოვრობდა. მეტეხის სასახლე შაჰ-აბასის შემოსევების დროს ძალიან დაზიანდა. მალევე სასახლის ნანგრევებზე ახალი დასახლება აღმოცენდა. მოგვიანებით, 1813 წელს გენერალმა ერმოლოვმა ადგილიდან მოსახლეობის ალაგმა და ორსართულიანი სატუსაღოს აშენება ბრძანა[1]. ამ დროიდან მოყოლებული ისტორიულმა შენობამ არსებობა შეწყვიტა, ხოლო სატუსაღომ - დაიწყო. აღსანიშნავია, რომ ერმოლოვის დროს დაწყებულმა მშენებლობამ შუა საუკუნეების ციხე-გალავანს იერსახე მთლიანად შეუცვალა. ადრინდელი მრავალკოშკიანი გალავნის ნაცვლად, ყაზარმული ტიპის ახალი შენობები აშენდა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ახალი შენობების სიმეტრიულობა და ზოგადად, განლაგება კლდის ლანდშაფტზე მორგებული იყო[2].

შენობის ფუნქციის შეცვლის საკითხი მხოლოდ 1918 წელს დადგა დღის წესრიგში. ეროვნულ არქივში დაცულ დამფუძნებელი კრების საქმეში ინახება დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც მეტეხის ციხის გადაკეთებაზე მსჯელობა 1918 წლის 2 თებერვალს დაიწყო. საარქივო დოკუმენტს ვიმოწმებთ უცვლელად:

„მეხუთე სხდომა, 2 თებერვალი 1918 წელი. სხდომა დაიწყო საღამოს 7 საათზე.

დაესწრნენ: გ. გაბაშვილი, დ. შევარნდაძე, ი. ნიკოლაძე, ზ. ფალიაშვილი, კ. მაყაშვილი, მ. ბალანჩივაძე, შ. შარაშიძე, შ. დადიანი, ლეო შენგელაია-ქიაჩელი.

თავმჯდომარეობდა: შალვა დადიანი

მდივანი: ლეო შენგელაია-ქიაჩელი

განსახილველი საგანი - მეტეხის ეროვნული საბჭოს განკარგულებაში გადასვლისა და მისი შესაფერი დანიშნულებისთვის მოგვარების შესახებ.

განაჩენი - შალვა დადიანი განმარტავს, რომ განსაკუთრებული შუამდგომლობა ამ საგნის შესახებ სურს აღძრას ეროვნ. საბჭოს წინაშე საკათალიკოზო საბჭოს. ბ. დადიანის აზრით მეტეხი, როგორც უძველესი ნაშთი, საჭიროებს დაცვას. თუ წინათ იგი საპატიმრო იყო, მაშინ ეს შეეფერებოდა მეტეხს, რამდენადაც იქ ისხდნენ თავისუფლებისთვის წამებულები. ამჟამად კი ქურდ-ბაცაცებსა და ხულიგნებს ატუსაღებენ მეტეხში, რისთვისაც სულ სხვა ბინა უნდა იყოს მონახული და არა მეტეხი.

კრება ეთანხმება შ. დადიანის აზრს და დაადგენს: გაეცნოს გამგეობა საკათალიკოსო საბჭოს აზრს ამ საგნის შესახებ, დაათვალიეროს მეტეხი მხატვრისა დ. შევარდნაძის,

[1] პლატონ იოსელიანი, “აღწერა თფილისის სიძველეთა”, გვ.195

[2] ვახტანგ ბერიძე, რუსუდან მეფისაშვილი, ლევან რჩეულიშვილი, რენე შმერლინგი, „თბილისის მეტეხის ტაძარი“ გვ.22, 23

ხუროთმოძღვრის სვ. კლდიაშვილისა, სკულპტორის ი. ნიკოლაძის და ერთის ინჟინრის თანხლებით და შეიმუშაოს პროექტი ეროვნულ საბჭოში წარსადგენად[3]“.

მეტეხის სატუსაღოს შენობის საკითხი, ოდნავ მოგვიანებით, კვლავ განხილვის თემად იქცა. 1921 წლის ოკუპაციის შემდეგ, ეროვნული გალერეა ფუნქციონირებას განაგრძობდა. თუმცა, კოლექციების ზრდასთან ერთად, ცხადი გახდა, რომ გალერეის შენობა კოლექციების დაცვისა და გამოფენისთვის საკმარისი აღარ იყო. დღის წესრიგში დადგა ახალი შენობის მოძიება. დიმიტრი შევარდნაძეს მეტეხის ციხე გადაკეთების შემთხვევაში მუზეუმისთვის შესაფერის შენობად მიაჩნდა. ამას მოწმობს, მის მიერ, 1932 წლის 5 ნოემბრით დათარიღებული განათლების სახალხო კომისარიატისთვის მიწერილი წერილი. დოკუმენტში აღნიშნულია: „საქართველოს ეროვნულ გალერეიას ყველაზე უფრო შესაფერის ბინად ხელოვნების მუზეუმისთვის მეტეხის ციხე მიაჩნია და აი, რატომ: ჯერ ერთი მეტეხი ძველად იყო გამაგრებული სასახლე, ხოლო ამ ასი წლის წინათ ნამესტნიკ ერმოლოვის მიერ საპყრობილედ იქნა გადაქცეული. მეტეხი ტფილისის მნიშვნელოვან ისტორიულ ძეგლს წარმოადგენს და თავის თავად აღრიცხვაზედ უნდა იყოს აღებული და უფრო საპატიო მიზნით გამოყენებული. სათანადო გადაკეთებით მეტეხის ციხე მშვენივრად იქნება გამოყენებული მუზეუმის საჭიროებებისათვის. ამასთანავე, თუ რა დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა ექმნება მეტეხის საპყრობილეს მუზეუმად გადაქცევისას, ამის შესახებ არას ვამბობ, რადგან ეს ყველასთვის ცხადია ...

... წარმოდგენილი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებით, მეორე ხუთწლედის ბოლოში, ჩვენ გვექნება ტფილისში „საქართველოს ლუვრი“, რომელიც თავისი ღირსებით მთელ საბჭოთა კავშირში ერთ პირველ ადგილთაგანს დაიჭერს და უცხოელთა ყურადღებასაც მიიქცევს“[4].

1933 წელს მეტეხის ციხის ნაგებობების კომპლექსი განათლების სახალხო კომისარიატს ეროვნული გალერეის კოლექციების განსათავსებლად გადაეცა. დაარსდა პლასტიკური ხელოვნების ცენტრალური მუზეუმი „მეტეხი“, რომელიც დღეს ცნობილია, როგორც შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი[5]. მომდევნო წელს “მეტეხის“ მუზეუმმა ფუნქციონირება დაიწყო. თავდაპირველად მუზეუმს ოთხი მიმართულება ჰქონდა. 1.ძველი ქართული ხელოვნების ნიმუშები, 2.აღმოსავლური ხელოვნება, 3.დასავლეთევროპული ხელოვნების ნიმუშები, 4. ახალი და უახლესი თანამედროვე ხელოვნება, რომლის ქრონოლოგიური ჩარჩო მე-18 საუკუნიდან იწყებოდა და თანადროულ ხელოვნებასაც მოიცავდა[6].

დიმიტრი შევარდნაძე ეროვნულ გალერეას მოიაზრებდა, როგორც ხელოვნების მუზეუმის ფორმირების საწყის ეტაპს[7]. მისი ჩანაფიქრის თანახმად, მეტეხის მუზეუმში ფართო სამეცნიერო საქმიანობა კოლექციების დაცვის, გამოფენისა და სარესტავრაციო საქმიანობის პარალელურად უნდა წარმართულიყო. თუმცა დიმიტრი შევარდნაძეს „საქართველოს ლუვრის“ შექმნა აღარ დასცალდა. 1937 წლის 10 ივნისს აბსურდული ბრალდებით, „ეწეოდა

[3] საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, დამფუძნებელი კრების საქმე, ფონდი 1833, აღწერა 1, საქმე 425, ფურცელი 9 და 10
[4] ეკა კიკნაძე, თემურ ქანთარია-ჯაბადარი, დავით ნიორაძე “ეროვნული გალერეა 100“, გვ. 46
[5] იქვე გვ. 48
[6] ირინე აბესაძე, ქეთევან ბაგრატიშვილი, „დიმიტრი შევარდნაძე“ გვ.166
[7] შალვა ამირანაშვილი, გვ. 70

კ/რ სსრკ-ს სიძლიერის შესუსტებისაკენ მიმართულ საქმიანობას[8]“, დააკავეს და იმავე წლის 13 სექტემბერს დახვრიტეს. თუმცა მისი დაპატიმრებისა და დახვრეტის ნამდვილი მიზეზი მეტეხის ტაძარია. ლავრენტი ბერიას განკარგულებით შუა საუკუნეების ეკლესიის აფეთქება და მის ნაცვლად შოთა რუსთაველის ძეგლის განთავსება იყო გადაწყვეტილი. დიმიტრი შევარდნაძე სანდრო ახმეტელთან, გიორგი ჩუბინაშვილთან და მიხეილ ჯავახიშვილთან ერთად ტაძრის დანგრევას წინ აღუდგა. ამხანაგმა ბერიამ პრეცედენტი, პროფესიონალების განსხვავებული, საღი აზრის არსებობა, არ დაუშვა. ამიტომ შეხვედრიდან მალევე, რეჟისორი სანდრო ახმეტელი, მწერალი მიხეილ ჯავახიშვილი და მხატვარი დიმიტრი შევარდნაძე დააპატიმრეს და დახვრიტეს[9]. ხოლო, საქართველოში ხელოვნებათმცოდნეობის, როგორც სამეცნიერო დარგის ფუძემდებლის, გიორგი ჩუბინაშვილის ავტორიტეტის შელახვა პრესის ფურცლებიდან დაიწყეს.

დიმიტრი შევარდნაძის დახვრეტის შემდეგ მუზეუმ „მეტეხის“ დირექტორად გრიგოლ ბუხნიკაშვილი, ხოლო 1939 წლიდან შალვა ამირანაშვილი დაინიშნა. სამწუხაროდ, რთული მატერიალურ-ტექნიკური პრობლემების გამო, ვერ მოხერხდა მეტეხის სატუსაღოს რეკონსტრუქცია. შესაბამისად, დღის წესრიგში ახალი შენობის მოძიება ისევ დადგა. მეორე მსოფლიო ომის დაწყებამ კვლავ შეაფერხა შენობის ძიების საკითხი. უფრო მეტიც, მუზეუმის თანამშრომელთა ნაწილი ჯარში გაიწვიეს, ხოლო შენობა სამხედრო უწყებას გადაეცა, სადაც რუსეთიდან ევაკუირებული კოლექციები განთავსდა[10]. 1945-დან 1952 წლამდე მუზეუმი სრულფასოვნად ფუნქციონირებას ცდილობდა. განახლდა სამეცნიერო მუშაობა, მოეწყო გამოფენები, ფუნქციონირება დაიწყო მუზეუმის გამომცემლობამ, გამდიდრდა კოლექციები[11]. თუმცა შენობის საკითხი კვლავ გაურკვეველი იყო. შალვა ამირანაშვილის მცდელობამ მხოლოდ 1952 წელს გამოიღო შედეგი, როდესაც ხელოვნების მუზეუმს მეწარმისა და მეცენატის იაკობ ზუბალაშვილის კუთვნილი შენობა გადაეცა[12]. ამ დროიდან მოყოლებული მეტეხის მუზეუმმა ზუბალაშვილის სახლში დაიდო ბინა. საბჭოთა პერიოდში მუზეუმის სახელწოდებას „მეტეხი“ ჩამოშორდა და საქართველოს სსრ ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი ეწოდა. დღეს კი მუზეუმის ოფიციალური სახელწოდება ასეთია: „შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი“.

---

[8] სტალინური სიები საქართველოდან http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=26&t=4784
[9] ირინე აბესაძე, ქეთევან ბაგრატიშვილი, „დიმიტრი შევარდნაძე“ გვ.262
[10] წიგნი-ალბომი “შალვა ამირანაშვილი 1899-1975“, ნონა ხარატიშვილი, გვ. 93
[11] იქვე; გვ.99, 102, 103, 104
[12] იქვე; გვ.105

დამატებითი ინფორმაცია მასწავლებლისთვის

დიმიტრი შევარდნაძის, იაკობ ნიკოლაძისა და სვიმონ კლდიაშვილის შესახებ

1. https://www.youtube.com/watch?v=0W4Bs-eAKEU - დიმიტრი შევარდნაძე
2. https://www.youtube.com/watch?v=gf8LwN9t9h0 - ვებინარი დიმიტრი შევარდნაძის შესახებ
3. https://www.youtube.com/watch?v=29vsqgQxakc - იაკობ ნიკოლაძე
4. https://www.youtube.com/watch?v=Hc4FKr7yGIM - ვებინარი იაკობ ნიკოლაძის შესახებ
5. https://www.youtube.com/watch?v=35PxGVEt74E&t=47s - სვიმონ კლდიაშვილი
6. https://www.radiotavisupleba.ge/a/31683717.html - სვიმონ კლდიაშვილი

გაკვეთილის მსვლელობა

ნაბიჯი 1

გაკვეთილის დაწყებამდე მასწავლებელმა ტექსტისა და სამუშაო ფურცლის იმდენი ეგზემპლარი უნდა ამობეჭდოს, რამდენიც წყვილებში სამუშაოდ არის საჭირო. პირობითად, კლასში თუკი 20 ბავშვია, მაშინ ამოსაბეჭდი 10 ეგზემპლარი იქნება. გაკვეთილის დაწყებისას მასწავლებელი მოსწავლეებს თემასა და სასწავლო მეთოდებს აცნობს. გაკვეთილი საინტერესოდ რომ წარიმართოს, მნიშვნელოვანია, მასწავლებელმა კონსტრუქტივისტული სწავლების, გონებრივი რუკისა და არგუმენტირებული მსჯელობის მეთოდები მიზანმიმართულად გამოიყენოს.

კონსტრუქტივისტული სწავლებისას წინარე ცოდნა აქტიურდება. მოსწავლე კი პროცესის აქტიური მონაწილე ხდება. მნიშვნელოვანია, მასწავლებელი, მთელი გაკვეთილის განმავლობაში, ფასილიტატორად დარჩეს. ის მოსწავლეებს ცოდნის აგებასა და ფაქტებს შორის კავშირის დამყარებაში ეხმარება. ამის შედეგად კი მოსწავლეებს საკითხის ანალიზი და ინტერპრეტაცია უმარტივდებათ[13].

არგუმენტირებული მსჯელობა კრიტიკულ აზროვნებას ავითარებს. მოსწავლეები თანაკლასელების მოსმენას, საკუთარი აზრის გამოხატვასა და პოზიციის დაცვას სწავლობენ. ამ დროს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ კლასში პოზიტიური გარემო იყოს შექმნილი, რათა ბავშვებს არ/ან ნაკლებად ჰქონდეთ შეცდომის დაშვების შიში, რომლის დაძლევაშიც და თავდაჯერებულობის ამაღლებაშიც მასწავლებლის წვლილი ძალიან დიდია[14].

გონებრივი რუკა (წრისებრი რუკა) მოსწავლეებს საკითხის ვიზუალიზაციაში ეხმარება. წრისებრი რუკა გონებრივი იერიშისათვის გამოიყენება. შიდა წრეში მოცემული სიტყვა, "შენობის ფუნქცია", გამოხატავს იმ საკითხს, რომლის გაგებასაც მოსწავლეები ცდილობენ. გარე წრეში კი ჩაიწერება ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც ამ საკითხის კონტექსტში გააზრებისკენ არის მიმართული[15].

სამივე მეთოდის გამოყენებით მასწავლებელი ბავშვებს სწორ პასუხამდე მისვლაში ეხმარება. თავდაპირველად, პედაგოგი მოსწავლეებს უხსნის, რომ სხვადასხვა ვითარებაში შესაძლებელია შენობის ფუნქციის რადიკალურად შეცვლა. ამ მოსაზრების გასამყარებლად კი გაკვეთილზე მაგალითად გამოყენებული იქნება მეტეხის სატუსაღო. ამის პარალელურად, მასწავლებელი მონიტორის დახმარებით პრეზენტაციის ჩვენებას იწყებს.

რეკომენდაცია შეფასების კრიტერიუმების შემუშავებისთვის: მასწავლებელი შეფასების კრიტერიუმების შემუშავებისთვის საგნობრივ სტანდარტს უნდა დაეყრდნოს. რესურსის გამოყენებისას მასწავლებელმა უნდა შეაფასოს მოსწავლეების მსჯელობის მართებულობა

---

[13] მანანა ბაქრაძე, „როგორ დავგეგმოთ კონსტრუქტივისტული გაკვეთილი", https://mastsavlebeli.ge/?p=10803

[14] ნათელა ბაღათრიშვილი, ნანა ნიბლაძე, ნინო ქიტესაშვილი, „კრიტიკული აზროვნება და არგუმენტირებული მსჯელობა სასკოლო განათლებაში", https://mastsavlebeli.ge/?p=43402

[15] ნინო ჭიაბრიშვილი, "გონებრივი რუკა", https://mastsavlebeli.ge/uploads/resursebi/gonebrivi%20ruka.pdf გვ.1-ელი და 2

და ლოგიკურობა. მოსწავლემ მსჯელობისას საკითხის მიმართ უნდა გამოხატოს საკუთარი დამოკიდებულება; შეძლოს შენობის არქიტექტურულ თავისებურებებზე საუბარი; გაიაზროს არქიტექტურის დანიშნულება სხვადასხვა ვითარებაში და განიხილოს შენობის ფუნქცია კონკრეტულ კონტექსტში.

ნაბიჯი 2

თავდაპირველად საჭიროა, რომ მასწავლებელმა ბავშვებს გონებრივი რუკის მნიშვნელობა განუმარტოს. გონებრივი რუკა არის სასწავლო მეთოდი, რომლის დახმარებითაც იქმნება მკაფიო გრაფიკული გამოსახულება მთავარი საკითხისა და მისი შემადგენელი კომპონენტების შესახებ[16]. განმარტების შემდეგ პედაგოგი მოსწავლეებს სამუშაო ფურცელზე მიუთითებს და სთხოვს გონებრივი (წრისებრი) რუკის გამოსახულებას დააკვირდნენ. მცირე წრეში წერია „შენობის ფუნქცია“, ხოლო დიდ წრეში, - „კონტექსტი“.

ნაბიჯი 3

მას შემდეგ, რაც მოსწავლეებს გონებრივ (წრისებრი) რუკაზე წარმოდგენა შეექმნებათ, მომდევნო ეტაპი საკითხავი მასალის გაცნობაა. მასწავლებელი მოსწავლეებს ტექსტის ყურადღებით წაკითხვას სთხოვს. ამ დროს მასწავლებელი დაფაზე ხაზავს გონებრივ (წრისებრი) რუკას. მცირე წრეში წერს: „შენობის ფუნქცია“, ხოლო დიდ წრეში -„კონტექსტი“. მას შემდეგ, რაც ბავშვები საკითხავ მასალას გაეცნობიან პედაგოგი ტექსტს ნაწილ-ნაწილ, კლასთან ერთად განიხილავს. ეს საჭიროა იმისთვის, რომ წინარე ცოდნა მარტივად გააქტიურდეს და გონებრივი (წრისებრი) რუკის გამოყენებით მოსწავლეებმა ცოდნის კლასიფიცირება შეძლონ.

ნაბიჯი 4

მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, კიდევ ერთხელ წაიკითხონ ტექსტის შესავალი და წყვილებში დაიწყონ მუშაობა. მოსწავლეები უნდა დაფიქრდნენ, რა ინფორმაციის შემცველია ეს მონაკვეთი. შემდეგ მონიშნონ (გახაზონ) და ჩაწერონ მათთვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია შესაბამის წრეში. ამისთვის მოსწავლეებს რამდენიმე წუთი აქვთ. ჩანაწერის გაკეთების შემდეგ მასწავლებელმა მოსწავლეების არგუმენტირებული პასუხები უნდა მოისმინოს. ბავშვებმა უნდა შეძლონ დასაბუთება, თუ რატომ მიიჩნიეს ესა თუ ის ინფორმაცია მნიშვნელოვნად და რატომ განათავსეს კონკრეტულ წრეში. ამის შემდეგ, მასწავლებელმა უნდა შეაჯეროს წყვილების მიერ გამოთქმული მოსაზრებები და განსაზღვროს შესავალში აღნიშნული ინფორმაცია, რომელ წრეში უნდა განთავსდეს.

მაგალითად: მოსწავლეთა ერთ წყვილს მიაჩნია, რომ ტექსტის შესავალ ნაწილში ყველაზე მნიშვნელოვანი ინფორმაცია 1918 წელია, რადგან ეს არის დამოუკიდებლობის გამოცხადების წელი. თუმცა, როგორც ტექსტიდან ჩანს, აქ საუბარია 1918 წლის 26 მაისამდე მომხდარ ფაქტზე. ამ პერიოდში ეროვნული საბჭო მოქმედებდა, რომელსაც საკანონმდებლო და აღმასრულებელი ფუნქცია ჰქონდა. პოლიტიკური ვითარების გათვალისწინებით, ქვეყანა

[16] სოფიკო ლობჟანიძე, “როგორ ვიმუშაოთ გონებრივი რუკით”, https://mastsavlebeli.ge/?p=2294

დამოუკიდებლობის გამოცხადებისთვის ჯერ მხოლოდ ემზადებოდა. საგულისხმოა, რომ დამოუკიდებელ სახელმწიფოს საკუთრივ, ახალი და თავისუფალი სახელოვნებო გარემოს შექმნა სჭირდებოდა. ეს მოსაზრება ცალსახად კონტექსტს მიემართება და ამიტომ 1918 წელი დიდ წრეში ჩაიწერება. მოსწავლეებს დამატებით შეუძლიათ დაასახელონ ქართველი მხატვრების პარიზში გამგზავრება (1919 წ.), ეროვნული გალერეის დაარსება (1920 წ.) პირველი ქართული კლასიკური ოპერის „აბესალომ და ეთერის“ (1919 წ.) დადგმა და ა.შ. ყველა ეს პასუხი მისაღებია. მსგავსი პასუხების ჩაწერა დიდ, კონტექსტის, წრეშია შესაძლებელი.

ნაბიჯი 5

კონტექსტის გააზრების შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს დავალების პირობის წაკითხვას სთხოვს. ამის შემდეგ მასწავლებელი ყურადღებას არქიტექტურის, როგორც ხელოვნების დარგის, მნიშვნელობაზე ამახვილებს. ამ დროს შესაძლებელია პედაგოგმა კითხვა დაუსვას კლასს: რა მთავარი ნიშნით განსხვავდება არქიტექტურა ხელოვნების ყველა სხვა დარგისგან? პასუხი მისაღებად ჩაითვლება, თუკი იქნება ასე ფორმულირებული: ხუროთმოძღვრება იმით განსხვავდება ხელოვნების სხვა დარგებისგან, რომ მას მხატვრულ ღირებულებასთან ერთად აქვს პრაქტიკული ფუნქცია და დანიშნულება.

ნაბიჯი 6

გამოთქმული მოსაზრებების შემდეგ მასწავლებელი პრეზენტაციის ჩვენებას იწყებს. პედაგოგი კლასს მესამე, მეოთხე, მეხუთე სლაიდებს აჩვენებს და ბავშვებს სთხოვს, ყურადღება გაამახვილონ ტექსტში ორ წინადადებაზე: „თავდაპირველად, სექციის წევრების თანხმობით, შენობის შესაფასებლად ინჟინერთან ერთად დიმიტრი შევარდნაძე, იაკობ ნიკოლაძე და სვიმონ კლდიაშვილი მიავლინეს. მათი პროფესიონალური აზრი მნიშვნელოვანი იყო შენობის არქიტექტურული გადაწყვეტისა და დანიშნულების ცვლილების შესახებ“. ამ მონაკვეთების წაკითხვის შემდეგ პედაგოგი მოსწავლეებს ეუბნება: ეცადეთ, განსაზღვროთ, თუ რატომ შეარჩიეს შენობის შესაფასებლად კონკრეტულად ეს ადამიანები. ხელოვნების რომელი დარგის წარმომადგენლები იყვნენ? რა შეგიძლიათ თქვათ დიმიტრი შევარდნაძის, იაკობ ნიკოლაძის, სვიმონ კლდიაშვილის შესახებ? ამ სამ ადამიანს რა განსაკუთრებული წვლილი აქვს შეტანილი ქართული ხელოვნების ისტორიაში? ეს კითხვები მოსწავლეთა აზრებს კონკრეტული მიზნისკენ მიმართავს. მასწავლებელი, როგორც ფასილიტატორი, მაქსიმალურად უნდა ეცადოს, ბავშვების ყურადღება ხელოვნების სექციის მიერ მივლინებულ წევრებსა და მათ პროფესიებზე გაამახვილოს. ქართულ ხელოვნებაში ამ ადამიანების ისტორიული და მხატვრული როლი კი ასეთია: დიმიტრი შევარდნაძის ინიციატივით ეროვნული გალერეა 1920 წელს დაარსდა; იაკობ ნიკოლაძე მრგვალი ქანდაკების ფუძემდებელია საქართველოში; სიმონ კლდიაშვილი პირველი ქართველი პროფესიონალი არქიტექტორია. მისი დაპროექტებულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსის შენობა. საბოლოოდ კი ბავშვები მივლენ დასკვნამდე, - ვინაიდან სამივე მათგანის პროფესია ხელოვნების სხვადასხვა დარგთან იყო დაკავშირებული, სავარაუდოა, რომ 1918 წელს მეტეხის სატუსაღოს კულტურულ-

საგანმანათლებლო სივრცედ გადაკეთება იყო ჩაფიქრებული. პედაგოგი მიღებულ პასუხებს ბავშვებთან ერთად მცირე წრეში ჩაწერს.

ნაბიჯი 7

ამის შემდეგ რამდენიმე წუთი მოსწავლეთა მსჯელობას ეთმობა. მეექვსე, მეშვიდე და მერვე სლაიდებზე დაკვირვებით პედაგოგი მოსწავლეებს სთხოვს, მოკლედ დაახასიათონ მეტეხის ტაძრისა და ციხის ექსტერიერი და იმსჯელონ საპყრობილის არქიტექტურის ეკლესიასთან და ზოგადად გარემოსთან მიმართებაზე.

ნაბიჯი 8

მსჯელობის შემდეგ მოსწავლეები წყვილებში მუშაობას განაგრძობენ. ტექსტის ბოლო წინადადებასა და მინიშნებას კითხულობენ. ტექსტში აღნიშნულია, რომ 1933 წელს საპყრობილემ ფუნქცია შეიცვალა. სწორედ აქ დგება მინიშნების გამოყენების დროც. მოსწავლეებმა წყვილებში უნდა იმსჯელონ და გამოთქვან ვარაუდები ეროვნული გალერეის ფუნქციებთან დაკავშირებით. რამდენიმე წუთიანი მსჯელობის შემდეგ მოსწავლეებმა თავიანთი ვერსიები უნდა გააჟღერონ. მათი პასუხები მართებულად ჩაითვლება, თუკი ბავშვები იტყვიან, რომ ეროვნული გალერეის ფუნქცია მაშინაც და ახლაც არის კოლექციების დაცვა, გამდიდრება და გამოფენა. ამის შემდეგ მასწავლებელს შეუძლია მოსწავლეებს შეახსენოს, რომ როდესაც საქმე შენობის დანიშნულებისა და ფუნქციის შეცვლას ეხება, როგორც წესი, რაიმე კონკრეტული და პრაქტიკული საჭიროება დგას. ამის შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს მიმართავს: კიდევ ერთხელ წაიკითხეთ მინიშნება და დაფიქრდით, რა ტიპის მატერიალური და პრაქტიკული საჭიროების წინაშე შეიძლება აღმოჩენილიყო 1933 წელს 13 წლით ადრე დაარსებული ეროვნული გალერეა?

არგუმენტირებული მსჯელობით მოსწავლეები უნდა მივიდნენ დასკვნამდე, რომ დროთა განმავლობაში ეროვნული გალერეის კოლექციების ზრდამ ახალი შენობის საჭიროება გააჩინა. მეტეხის სატუსაღო კი გადაკეთების შემთხვევაში მუზეუმის ფუნქციას თავისუფლად შეითავსებდა. საბოლოო პასუხს, „მუზეუმი“, მოსწავლეები მცირე წრეში ჩაწერენ.

ნაბიჯი 9

აქტივობის დასრულების შემდეგ მასწავლებელმა გაკვეთილი უნდა შეაჯამოს. სენდვიჩის მეთოდის გამოყენებით კი მოსწავლეებს უკუკავშირი მისცეს.

სურვილისამებრ, პედაგოგს შეუძლია თემა მომდევნო გაკვეთილებზეც განავრცოს და მოსწავლეებს სთხოვოს, გაიხსენონ/მოიძიონ ინფორმაცია მათ სოფელში, რეგიონში ან ქალაქში არსებული შენობის შესახებ, რომელიც, თავდაპირველად, კონკრეტული დანიშნულებით აშენდა, მაგრამ დღეს სხვა ფუნქცია აქვს.

რესურსის მომზადებისას გამოყენებული ლიტერატურა და ინტერნეტ წყაროები:

1. საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, დამფუძნებელი კრების საქმე, ფონდი 1833, აღწერა 1, საქმე 425
2. პლატონ იოსელიანი, "აღწერა თფილისის სიძველეთა" წიგნი გამოსაცემად მოამზადეს: დიმიტრი თუმანიშვილმა, ირინე ჭოღოშვილმა, იუზა ხუსკივაძემ, გამომცემლობა "არეტე", თბილისი, 2009 წ.
3. ვახტანგ ბერიძე რუსუდან მეფისაშვილი, ლევან რჩეულიშვილი, რენე შმერლინგი, „თბილისის მეტეხის ტაძარი" გამომცემლობა „მეცნიერება", თბილისი, 1969 წ.
4. ეკა კიკნაძე, თემურ ქანთარია-ჯაბადარი, დავით ნიორაძე „ეროვნული გალერეა 100" საქართველოს ეროვნული მუზეუმი, პოლონური ინსტიტუტი საქართველოში, კატალოგი დაიბეჭდა შპს „სეზანში", თბილისი, 2020 წ.
5. ირინე აბესაძე, ქეთევან ბაგრატიშვილი „დიმიტრი შევარდნაძე" გამომცელობა „საქართველო", თბილისი, 1998 წ.
6. წიგნი-ალბომი "შალვა ამირანაშვილი 1899-1975", ეროვნული მუზეუმის გამოცემა, თბილისი, 2019 წ.
7. სტალინური სიები საქართველოდან http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=26&t=4784
8. საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის ელექტრონული ლექსიკონი http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=3&t=36629
9. საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელი" https://dspace.nplg.gov.ge/?locale=ka
10. მანანა ბაქრაძე, „როგორ დავგეგმოთ კონსტრუქტივისტული გაკვეთილი", https://mastsavlebeli.ge/?p=10803
11. ნათელა ბაღათრიშვილი, ნანა ნიბლაძე, ნინო ქიტესაშვილი, „კრიტიკული აზროვნება და არგუმენტირებული მსჯელობა სასკოლო განათლებაში", https://mastsavlebeli.ge/?p=43402
12. ნინო ჭიაბრიშვილი, "გონებრივი რუკა", https://mastsavlebeli.ge/uploads/resursebi/gonebrivi%20ruka.pdf
13. სოფიკო ლობჟანიძე, "როგორ ვიმუშაოთ გონებრივი რუკით", https://mastsavlebeli.ge/?p=2294